პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი

14.06.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი – ა(ა)იპ - საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაციის (MSPA) საჯარო პოლიტიკის ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ეკატერინე ნარეშელაშვილი – სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი, საბჭოს სხდომის მდივანი;
ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ დირექტორი;
მალხაზ შურღულაია - ა(ა)იპ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობის პროფესიული (დუალური) განათლებისა და კვალიფიკაციების ექსპერტი;
ელენე ალადაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი, ა(ა)იპ - სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდის ფილიალის საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განვითარების დირექტორი;
მანანა მახარაშვილი - შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy-ის“ ხარისხის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი.

ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის ვიზიტების უზრუნველყოფის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,იბერიის'' წარმომადგენლები:
ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს წარმომადგენლები:
ნანული ზარიძე - დირექტორი
ლაშა იმერლიშვილი - დირექტორის მოადგილე
თინათინ ჭუმბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნინო ფეტვიაშვილი
თეა შაყულაშვილი
ირმა ღარიბაშვილი
ალინა კუპრავა
გიორგი ბერაია

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:20 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ამიტომაც ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით, მისადმი მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დააკისრა ეკატერინე ნარეშელაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიაში'' განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა
3. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. კახაბერ ერეაძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დღის წესრიგით მეორე საკითხად წარმოდგენილი საკითხი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოსთვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა''

კახაბერ ერაძის შუამდგომლობის საფუძველზე საბჭომ კენჭისყრით შეცვალა სხდომის დღის წესრიგი და განსაზღვრა შემდეგნაირად:

1. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიაში'' განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოსთვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა
3. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

1. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიაში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნინო ფეტვიაშვილმა, თეა შაყულაშვილმა და ირმა ღარიბაშვილმა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიაში" მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 24 აპრილის N304 ბრძანება, რომლის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. შენიშნა, რომ ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად.
აღნიშნა, რომ კოლეჯს უფლება აქვს განახორციელოს 27 საგნობრივი და 9 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. კოლეჯი მდებარეობს ქ, ქუთაისში ნიკეას ქ. №12-ში, ხოლო ანჯაფარიძის ქ. №61-ში მდებარეობს კოლეჯის სადურგლო სახელოსნო. კოლეჯს აქვს ფილიალი ქ. ბაღდათში, რუსთველის №80. დაწესებულების საერთო ფართი სამივე მისამართზე 14471 m^2-ია, საიდანაც 5176 m^2 გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის.
აღნიშნა, რომ ვიზიტის პირველ დღეს შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები და საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შეფასების სისტემის ქმედითუნარიანობა. მონიტორინგის ვიზიტის მეორე დღეს გადამოწმდა ადამიანური და მატერიალური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დოკუმენტაცია, მოხდა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრება, ფართების დათვალიერება როგორც ქუთაისში, ასევე ბაღდათში, განხორციელდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტებზე, გასაუბრება პრაქტიკის მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტის მესამე დღეს ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება, პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა რეესტრის შემოწმება, ასევე დაწესებულების წინაშე შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების გაცნობა.

ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა რიგი ხარვეზები, რომელთა ნაწილი დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში გამოასწორა. დაწესებულებას ასევე მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია.

პროფესიული პროგრამების გადამოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირდა შემდეგი **ხარვეზები:**

1. ქ. ბაღდადის ფართზე განლაგებული ბიბლიოთეკის გადამოწმებისას დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია მხოლოდ წიგნების თაროები და სამუშაო მაგიდები, არ არსებობს ელექტრონული ბიბლიოთეკის ფონდი. ბიბლიოთეკაში არ არის განთავსებული ელექტრონულ ფორმატში ჩაწერილი სახელმძღვანელოები.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა ბაღდათში მოქმედი ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ლიტერატურა. კერძოდ „თმის სტილისტისა" და „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის" ზოგადი და სავალდებულო მოდულებში მითითებული ლიტერატურა, რომელიც ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა.

ვიზიტის დროს (2018 წლის 2 მაისს) დირექტორის მიერ გამოიცა ბრძანება N109 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის სტილისტის" მოდულების დამხმარე ჩანაწერების მე-3 თავის 3.8 პუნქტში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ, რომლის საფუძველზე რვა სავალდებულო მოდულში ნ.პ. ალიოშინას «Парикмахерское дело» სახელმძღვანელო შეიცვალა ე. გოლუბოვას სახელმძღვანელოებით. სახელმძღვანელოები მიღება-ჩაბარების აქტით უნდა გადაცემოდა კოლეჯს. ვიზიტის პერიოდში ეს დოკუმენტი არ გაფორმებულა. ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა, რომ კოლეჯის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაწესებულების წარმომადგენლებმა უკვე გააფორმეს აღნიშნული დოკუმენტი.

2. არ მიმდინარეობს ხელშეკრულებების აღრიცხვა, რითაც ირღვევა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის საქმისწარმოების წესის მუხლი 7. ხელშეკრულების აღრიცხვა. აუცილებელია, მოყვანილ იქნას დოკუმენტების აღრიცხვა საქმისწარმოების წესთან შესაბამისობაში. შენიშნა, რომ დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ წარმოდგენილ წერილში აღნიშნა, რომ ეს ხარვეზი გამოსწორებულია.

3. შრომით ხელშეკრულებებში არ არის დაცული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის მეორე კარის მეორე თავის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შრომითი ხელშეკრულების ერთერთი არსებითი პირობაა „სამუშაო ადგილის" განსაზღვრა, კერძოდ, სად უნდა განახორციელოს დასაქმებულმა შრომითი საქმიანობა (ბაღდადში თუ ქუთაისში), ხოლო „დ" ქვეპუნქტით „თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე", კოლეჯის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს მოდულის/სასწავლო კურსის დასახელება, რაც არ იყო გათვალისწინებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში. არ არის დაკონკრეტებული ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.

მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ არ მიაჩნია მიზანშეწონილად ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი იყოს ყველა იმ მოდულის დასახელება, რომელსაც ახორციელებს პროფესიული მასწავლებელი პროგრამის ფარგლებში.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ქვესტანდარტი 3.3 მოითხოვს, რომ შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებული იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამიტომ ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა იყოს დაფიქსირებული რა სამუშაო უნდა შეასრულოს დასაქმებულმა.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ 3.2 ქვესტანდარტის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. შრომით ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს რომელ სასწავლო კურსს/ მოდულს ასწავლის, რათა შემოწმდეს რამდენად შესაბამისია მისი კვალიფიკაცია. აქვე შენიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული მასწავლებელი ასწავლის პროგრამით გათვალისწინებული დარგობრივი მოდულების უმეტეს ნაწილს, შესაძლოა ხელშეკრულებაში არ იყოს ყველა მოდულის დასახელება ჩამოთვლილი და მიეთითოს ,,დარგობრივი მოდულები''.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებამ 79 პროფესიულ მასწავლებლიდან გააფორმა კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისი ახალი ხელშეკრულება 19 პროფესიულ მასწავლებელთან. შესაბამისად, ხარვეზი აღმოფხვრილია.

ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებულია შემდეგი **რეკომენდაცია:**

საგანმანათლებლო პროგრამები:

1. კალენდარულ გეგმაში გაწერილი საათობრივი განაწილება შესაბამისობაში იყოს მოყვანილი მოდულთან (ასახულ იქნას მოდულების საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემაში, მოხდეს მოდულების ამ მიმართულებით ადაპტირება).
2. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის დადასტურებისას დაზუსტდეს „შეფასების კრიტერიუმები", რაც სრულად უნდა ფარავდეს სწავლის შესაბამის შედეგს.
3. სასურველია, კატალოგში მიეთითოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურასთან და თითოეულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით.

4. პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებებში და პირად საქმეში არ აღმოჩნდა არანაირი საბუთი, რომელიც დაადასტურებდა მათ მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს, ამიტომ ექსპერტთა რეკომენდაციაა, სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაემატოს დანართი ან ჩანაწერი შინაგანაწესის გაცნობასთან დაკავშირებით, რაც უნდა დადასტურდეს სტუდენტის/სტუდენტის მშობლის/მეურვის ხელმოწერით.

5. დაწესებულების მიერ შემუშავებულ ხარისხის დოკუმენტებში, სამსახურის წლიურ სამოქმედო გეგმებში ასახული ნაბიჯები/აქტივობები იყოს უფრო მკაფიო და თანმიმდევრული, განისაზღვროს თითოეული აქტივობის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და რეალური ვადები, ანალიზი და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები. ეს პროცედურები განხორციელებული იყოს არა მხოლოდ ხარისხის სამსახურისა და დირექციის მიერ, არამედ ამ პროცესში აქტიურად ჩაერთონ პროგრამის ხელმძღვანელები და მოდულების განმახორციელებელი პირები (პროფესიული მასწავლებლები) თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და უფლებამოსილების შესაბამისად.

მატერიალური რესურსი:

6. კოლეჯის ბიბლიოთეკებში (ორივე ფართზე) განთავსებული ელექტრონულ ფორმატში ჩაწერილი სახელმძღვანელოების ჩატვირთვა მოხდეს ბიბლიოთეკისა და შესაბამისი პროგრამების A და B გარემოების კომპიუტერებში სტუდენტებისთვის მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

7. ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ მოხდეს დაწესებულების მიერ გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დახვეწა და მასში აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინება. კერძოდ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს კოლეჯის მუშაობის ანალიზს და არა გეგმას. გეგმა წარმოდგენილია ნარატიულად, არ არის ჩაშლილი წლების მიხედვით. გეგმაში გათვალისწინებულია მატერიალური და ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენება, გაუმჯობესების მექანიზმები და სხვ.

რაც შეეხება ერთწლიან სამოქმედო გეგმას, 2017-2018 წლის გეგმაში გამიჯნულია განსახორციელებელი ღონისძიებები, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები და შესრულების სავარაუდო პერიოდი. აღნიშნა, რომ 2017 წლის აგვისტოში კოლეჯმა დაიმატა ორი მოდულური პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და „ელექტროობა“, თუმცა სამოქმედო გეგმაში ამ პროგრამებთან დაკავშირებით ჩანაწერი არ მოიძებნა.

მანანა მახარაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში არ იყოს რაიმე აქტივობა შეტანილი, თუმცა განახორციელონ, როგორც ამ შემთხვევაში დაიმატეს ორი პროგრამა.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სრულიად შესაძლებელია ასეც მოხდეს. მიცემული რეკომენდაციაა გააცოცხლონ დაწესებულებაში არსებული დოკუმენტები და მეტად ქმედითი ხასიათის მატარებელი გახადონ.

შესაბამისად ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა მოიცავდეს დაგეგმილ აქტივობებს, მისი განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა

და მოსალოდნელ შედეგებს, ასევე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდებსა და გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმებს.

ადამიანური რესურსი

ქ. ბაღდათში შტატით განსაზღვრული ბიბლიოთეკარი არ ჰყავთ. ქ. ბაღდათის სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის განმარტებით ბიბლიოთეკარის მოვალეობა შეთავსებული აქვს კოლეჯის მედდას. თუმცა სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება N259-ის (2016 წ) თანახმად ბაღდათში ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობის შეთავსება დაევალა ბაღდათის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს. ექსპერტებმა მისცეს რეკომენდაცია ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე შეირჩეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი.

თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული ხარვეზები და რეკომენდაციები რითაა განპირობებული. მისი მოსაზრებით საქმე ეხება კადრების არაკვალიფიციურობას ან საქმისადმი გულგრილ დამიკიდებულებას. დაინტერესდა, აღნიშნული ხარვეზები კოლეჯის რომელი თანამშრომლის ფუნქციის არაჯეროვანი შესრულებითაა გამოწვეული. აღნიშნა, რომ ამ კოლეჯთან დაკავშირებით მსგავსი პრობლემა წლებია დგას და მიაჩნია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ეფექტურად უნდა იხარჯებოდეს. აღნიშნა, რომ პრობლემები სუსტი მენეჯმენტის ბრალია და დირექციამ მკაცრი ზომები უნდა გაატაროს დამრღვევის მიმართ.

გამოთქვა ინიციატივა სახელმწიფო კოლეჯების მონიტორინგის ვიზიტის დასკვნები გაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს რათა საქმის კურსში იყოს რა სიტუციაა კოლეჯში, რა სუსტი მხარეები გამოვლინდა მონიტორინგის შედეგად, რათა ამ მიმართულებით მოხდეს კოლეჯის გაძლიერება.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის დასკვნები, ისევე როგორც სხვა ყველა ვიზიტის დასკვნა, საჯაროა და განთავსებულია ცენტრის ოფიციალურ ვებ გვერდზე შესაბამის გადაწყვეტილებასთან ერთად.

თავმჯდომარე დაინტერესდა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით რა პოზიცია აქვს კოლეჯს. კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა შემუშავებულია 2013-2019 წლებისათვის, ამჟამად კოლეჯის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა.

სამოქმედო გეგმაში პროგრამების დამატების შესახებ აქტივობის ჩანაწერის არარსებობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ გეგმაში მითითებული იყო ,,საგნობრივი პროგრამებიდან მოდულურ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებული აქტივობები/ სამუშაოები''. შენიშნა, რომ სამოქმედო გეგმის შედგენისას არ იყო ცნობილი კონკრეტულად რომელი პროგრამას დაიმატებდა კოლეჯი, რადგან აღნიშნული არაა დამოკიდებული მხოლოდ

კოლეჯის სურვილზე, ამას თან ახლავს პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა და სხვა აქტივობები, რასაც სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე ვერ ახორციელებენ.

ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდშივე გამოსწორდა ხარვეზები და შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელს მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის შემდგომ, გარე მხარდაჭერის ვიზიტის ფარგლებში, კოლეჯში იმყოფებოდა ქალბატონი ქეთევან ბოტკოველი. კოლეჯის ინიციატივით იგი გაეცნო მონიტორინგის ვიზიტის დასკვნას და ვიზიტის შემდგომ კოლეჯის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების და რეკომენდაციების გამოსწორება/გაზიარებას, ასევე შესაბამისად შემუშავებულ დოკუმენტებს.

შენიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნა გააცნეს კოლეჯის პროფესიულ მასწავლებლებს და პერსონალს. გააქტიურდა შიდა მხარდაჭერის ჯგუფები. შემუშავდა სამუშაო გეგმა დასკვნაში მითითებული ხარვეზებისა და რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, რომელშიც ყოველ აქტივობაზე მითითებულია პასუხისმგებელი პირი, შემსრულებელი და თანაშემსრულებელი. სამი პროფესიული მასწავლებელი პასუხისმგებელია შეფასების ინსტრუმენტების შემოწმებაზე, სამი პროფესიული მასწავლებელი - რესურსების გაწერასა და ხარჯვაზე, სამი პროფესიული მასწავლებელი - კალენდარული გეგმების მოდულთან შესაბამისობაზე და ა. შ. აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ყველა დოკუმენტის გადამოწმება დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების სრულად გასათვალისწინებლად.

მალხაზ შურღულაია დაინტერესდა, სტუდენტებს თუ გაესაუბრნენ ექსპერტები და გამოიკვეთა თუ არა მათი კმაყოფილება. ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ მოხდა სტუდენტებთან გასაუბრება, ისინი იმყოფებოდნენ ერთ-ერთ პრაქტიკის ობიექტზე. მათთან გასაუბრებით გამოიკვეთა სასწავლო პროცესის და კოლეჯის მიმართ კმაყოფილება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ვიზიტის შემდგომ პერიოდში ხარვეზები სრულად გამოსწორებულია თუ არა. ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის შემდგომ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ კოლეჯმა წარმოადგინა წერილი, სადაც აღნიშნა, რომ ხარვეზები გამოსწორებულია. თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია დაწესებულებას და ექსპერტთა ჯგუფი არ იცნობს ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

კახაბერ ერაძემ შენიშნა, რომ აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მოვალეობა არაა იცნობდეს და ადასტურებდეს კოლეჯის ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელ დოკუმენტებს. აქვე აღნიშნა, რომ საბჭო უფლებამოსილია ავტორიზაციის დებულების მიხედვით ხარვეზების გამოსასწორებლად კოლეჯს განუსაზღვროს ვადა.

თავმჯდომარე დაინტერესდა რა ვადაში მოახერხებს კოლეჯი სრულად გამოასწოროს დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები.

კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, აღნიშნა, რომ კოლეჯმა ხარვეზები თითქმის გამოასწორა, თუმცა აქტიურად მიმდინარეობს რეკომენდაციებზე მუშაობაც და შესაძლებელია საბჭოს მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ცენტრში წარმოადგინოს დოკუმენტაცია, ან განმეორებითი ვიზიტისას წარმოადგინოს გამოსწორებული დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წინააღმდეგი თუ არ იქნებოდნენ, საბჭოს სხდომის დღიდან 30 კალენდარული დღის ვადა განესაზღვრათ კოლეჯისთვის დასკვნაში ასახული ხარვეზების გამოსასწორებლად და ამ ვადის გასვლის შემდგომ შემოწმებულიყო, რამდენად სრულფასოვნად გამოსწორდა არსებული ხარვეზები.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიას'' არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად მიეცეს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღე. საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ კოლეჯში განხორციელდეს მონიტორინგი და შედეგები ეცნობოს საბჭოს.

2. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოსთვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ალინა კუპრავამ და გიორგი ბერაიამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ 2018 წლის 19 და 20 აპრილს შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში განხორციელდა ვიზიტი დაწესებულების მხრიდან პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფხურის მოდულურ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის თავისებურებების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის და მატერიალური რესურსის შემოწმების მიზნით.
შენიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 20 სტუდენტი და ამჯერად ითხოვს 60 სტუდენტით ოდენობის გაზრდას, ჯამში 80 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას.
აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებულია შემდეგი ხარვეზები:
- (1.2. ქვესტანდარტი) დაწესებულების კატალოგი ფორმალურად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა მასში განთავსებული ინფორმაცია მოდულური პროგრამების შესახებ, მოცულობა და ხანგრძლივობა, არის შეუსაბამო დამტკიცებულ მოდულური პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობასთან. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 134 კრედიტი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 164 კრედიტია, ხოლო პროგრამების კატალოგში მითითებულია 179 კრედიტი და შესაბამისად სწავლის ხანგრძლივობაც გაზრდილადაა მითითებული. აღნიშნული ინფორმაცია კატალოგში არ განახლებულა პროგრამის ცვლილების შესაბამისად.
აქვე შენიშნა, რომ კოლეჯმა ვიზიტის შემდეგ, 23 მაისს ცენტრში წარმოადგინა ინფორმაცია ხარვეზების გამოსწორების შესახებ. წარმოდგენილია ახალი კორექტირებული კატალოგი. შენიშნა, რომ განახლებული კატალოგი დევს დაწესებულების ვებ გვერდზეც.

- (3.2 . ქვესტანდარტი) მოდულების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის დროს დაფიქსირდა რომ „ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვის“ მოდულს უძღვება პროფესიული მასწავლებელი, კვალიფიკაციით სამედიცინო ფსიქოლოგი. რეზიუმეს ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ იგი სარეაბილიტაციო ცენტრში მუშაობს ფსიქოლოგად. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე პირი ვერ განახორციელებს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევას, აღნიშნული მოდული აუცილებელია განხორციელდეს ექთნის კვალიფიკაციის ან მუშაობის გამოცდილების მქონე პირის მიერ. აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის შემდგომ ცენტრში წარმოდგენილ, ზემოთ აღნიშნულ წერილში, წარმოადგინა ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან დადებული ხელშეკრულება, ასევე ამ საავადმყოფოს ერთ-ერთ ფსიქიატრთან დადებული ხელშეკრულება. შესაბამისად, ამით აცნობა ცენტრს, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია.

აქვე აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებულია რიგი რეკომენდაციები, რომლებიც კოლეჯის შემდგომ განვითარების მიზანს ემსახურება და კოლეჯის გადასაწყვეტია, გაითვალისწინებს თუ არა აღნიშნულ რეკომენდაციებს.

შენიშნა, რომ დაწესებულებას კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში მითითებული ჰქონდა ორი C გარემო. შესაბამისად გადამოწმდა ორივე და გამოვლინდა, რომ ერთი მათგანი სრულყოფილად აღჭურვილია, ხოლო მეორეში არ არის უნივერსალური მულაჟი, რომელზეც პროფესიულმა სტუდენტებმა პრაქტიკულ მეცადინეობაზე უნდა ჩაატარონ სხვადასხვა მანიპულაცია, ასევე არ არის მულაჟი თოჯინა, თუმცა სხვა დანარჩენი აღჭურვილობა მოდულის ჩანაწერების მიხედვით ადგილზე დახვდათ ექსპერტებს. შესაბამისად, მოთხოვნილი დამატებითი 60 სტუდენტის მიღებას დაწესებულება სრულად ვერ შეძლებს.
ექსპერტები იმყოფებოდნენ პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებმაც მზაობა გამოთქვეს ორ ცვლაში 20-20 სტუდენტის მიღებაზე, ამიტომ ექსპერტებმა არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მიიჩნიეს, რომ პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯი შეძლებს დამატებით 40 სტუდენტის მიღებას, ჯამში 60 სტუდენტის მიღებას.

აქვე აღნიშნა, რომ პროგრამაზე პროფესიული მასწავლებლების რაოდენობაა 31.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოსთვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 33[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს (ს/კ:404935273) პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.

3. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების საჭიროება გამოიწვია დღევანდელი საბჭოს დღის წესრიგით განსაზღვრულმა წინა, მეორე საკითხმა. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 60-ით. ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირების საჭიროებას.

აღნიშნა, რომ შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილება განხორციელდა 2018 წლის 4 ივნისს და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 165- ით. გამომდინარე იქედან, რომ პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გაიზარდა 40-ით, შესაბამისად შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა უნდა განესაზღვროს 205-ით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში:

ა) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404935273) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 205-ით.

ბ) გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	60	ქართული	17	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
2	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	მესამე	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041060	45	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
3	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090251	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
4	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების ათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ექთნის თანაშემწე (1)	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	81	96	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
2	პრაქტიკოსი ექთანი (1)	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	134	164	ქართული	60	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
3	ფარმაცევტის თანაშემწე (1)	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	104	134	ქართული	48	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ეკატერინე ნარეშელაშვილი